MES 5 20 0001082764

10/11/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.10.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;

11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
14. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების და სახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი	I
1.	თამარ ხოხობაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი	I
1.	ეკატერინე შაკიაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
1.	ვაჟა სადრაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
1.	მანანა აბუთიძე		ასოცირებული პროფესორი	I
1.	ნუგზარ სხირტლაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	II
1.	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	II

1.	იოსებ ბერიკაშვილი		ეკონომიკის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	პაატა ბუხრაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გოჩა თუთბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

საბჭოს ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. ნინო ალავიძე - ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2.თათია ხარაბაძე - ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მენეჯერი;
3.ლელა უგულავა - ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	24.12.2020 №274
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, კორპ. №6
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

დიახ

თვითაცილება განაცხადა ზურაბ გვიშიანმა;

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, პაატა ბუხრაშვილმა წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე განაცხადა, რომ ბატონი ჰანსენი ცნობილი ექსპერტია, გერმანიის არქეოლოგიის უნივერსიტეტის ევრაზიის

განყოფილების გამგეა, აკრედიტაცია მათი რეკომენდაციების საფუძველზე გაიცა და ორი ინტერნაციონალიზაცია იქნა მითითებული, რეკომენდაციები გაიცა 2019 წელს და 2020 წლის მდგომარეობა ყველასთვის ცნობილია, შეძლებისდაგვარად ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა იზრუნეს ამ საკითხზე, მათ მოიწვიეს ცნობილი მეცნიერი, რომელმაც დისტანციურად ჩაატარა ლექციები. ექსპერტის მოსაზრებით, ყველა რეკომენდაცია შესრულებულია და საბჭოს მიმართ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ შესაძლებელია აკრედიტაციის გაგრძელება, დაწესებულებამ მიიწვია ცნობილი მეცნიერები, მაგ., გივი ინანიშვილი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქიმიური ლაბორატორიის გამგე გახლდათ. ასევე განმარტა, რომ მის მიერ ყველაფერი გაგზანვილია წერილობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, დავით მახვილაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სახელით განსაკუთრებულ მადლობას უხდიან ექსპერტს, რომელიც მათი მოსაზრებით გამორჩეული ექსპერტია.
მისი თქმით, საკითხების სიმცირიდან გამომდინარე, რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლებიან; საუბარი იყო ორ რეკომენდაციაზე - ინტერნაციონალიზაციასა და ტექნიკური აღჭურვილობის განახლებაზე. ობიექტურად შეფასებისას, მსოფლიოში შექმნილი პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, ყველა ტექნიკური საშუალებებით „ონლაინ“ ჩართვებითა და კომუნიკაციით მათ შეძლეს გამოჩენილი/რეკომენდებული პროფესორის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, ინტერნაციონალიზაციის პროცესში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც ანგარიშშიც არის წარდგენილი.
მისი თქმით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აღჭურვილობის მოდერნიზაციის კუთხითაც.

16:11 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო დობორჯგინიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა, რომ გაცემული ორი რეკომენდაციიდან ორივე შესრულებულია, მან მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები/კითხვები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ განაცხადა, რომ ანგარიში წარდგენილია ივლისში და პროექტი, არქეოლოგიური ლაბორატორიული ცენტრის განვითარებისთვის, როგორც ანგარიშში ამოიკითხა, იყო განხილვაში. მისი აზრით, ინსტიტუციური პროექტების ხაზით იყო წარდგენილი და შემდეგ ვეღარ ნახა მიიღეს/დაკმაყოფილდა თუ არა აღნიშნული პროექტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არიან პასუხის მოლოდინში, შესაბამისად აღნიშნული პროექტი ჯერჯერობით არ არის დაკმაყოფილებული.
საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ არ დაკმაყოფილდება მათი განაცხადი, რამდენად აქვს დაწესებულებას ალტერნატიული იდეა, როგორ შეიძლება ამ პროექტის შემდგომი განვითარება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არქეოლოგიის განხრით იყო ყველა უნივერსიტეტიდან წარდგენილი, ძირითადად შეეხებოდა არქეომეტრიის განვითარების საკითხებსდა თუ არ დაკმაყოფილდება, დაწესებულება მისივე სახსრებით განავითარებს. მისი მოსაზრებით, აღნიშნული საგანი არის ინტერდისციპლინური და ძალიან დაეხმარებათ გეოლოგიური ლაბორატორიები, რომელიც დაწესებულებას უკვე აქვს, გააგრძელებენ მათ ბაზაზე მუშაობას და მომავალში შეიძენენ ყველა საჭირო დანადგარს სტუდენტების განვითარებისთვის, რათა არ ჩამორჩნენ, რადგან ყველასთვის ნათელია, რომ არქეომეტრიის გარეშე არქეოლოგიის განვითარება თითქმის შეუძლებელია და როდესაც აღნიშნული პროგრამა შეიქმნა ერთ-ერთი საფუძველი იყო, რომ ინტერდისციპლინური დარგის, გეოლოგიის გვერდით აღნიშნული სპეციალობა განევითარებინათ და ეს „ნიშა“ დაეკავებინათ,

რისი ფუფუნებაც სხვა უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ. ამ ეტაპზე ელოდებიან გადაწყვეტილებას პროექტთან დაკავშირებით, უარის შემთხვევაში კი მიმართავენ დაწესებულებას ახალი ტექნიკის შესაძენად, თუმცა პანდემიამ შეაფერხა მათი საქმიანობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:14
დასრულების დრო: 16:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

16:23 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ზურაბ ორჯონიკიძე.

2. მეორე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	02.02.2020 №12
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული

10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1; საქართველო, 6000, ქ. ბათუმი, თაყაიშვილის ქ. №36-38
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

დიახ

თვითაცილება განაცხადეს - გურანდა ჭელიძემ და ნიკოლოზ კიკნაძემ;

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

16:31 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ზურაბ ორჯონიკიძემ.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტი, გოჩა თუთბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მას განიხილა წარდგენილი ანგარიში და მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია არის შესრულებული და რჩევა, რომელიც საბჭომ მისცა რეკომენდაციებთან ერთად გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, შესაბამისად ექსპერტის პასუხი არის ძალიან მოკლე, რომ ყველა რჩევა გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტს, გოჩა თუთბერიძეს კონსტრუქციული მუშაობისთვის, კარგი რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის. მან დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა და კიდევ ერთხელ გადაიხადა მადლობა აკრედიტაციის პროცესის მიმართ პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. აღნიშნა, რომ დაწესებულება კიდევ განაგრძობს არა მარტო აღნიშნული პროგრამის, არამედ სხვა პროგრამების განვითარებასაც.

დიანა მჭედლიშვილმა სიტყვა გადასცა ეკონომიკის სკოლის დეკანსა და პროგრამის ხელმძღვანელს, იოსებ ბერიკაშვილს.

იოსებ ბერიკაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს, გოჩა თუთბერიძეს კონსტრუქციული მუშაობისთვის, რეკომენდაციებისა და

შენიშვნებისთვის. მანაც დაადასტურა, რომ შეასრულელეს ყველა რეკომენდაცია, ხოლო რაც შეეხება რჩევებს, ერთ-ერთი იყო ზოგადი რჩევა გამრავლაფეროვნებასთან დაკავშირებით, რომელზეც მათ უკვე დაიწყეს მუშაობა, დაამატეს ორი საგანი და მუდმივ რეჟიმში არჩევით ბლოკში დაამატებენ საგნებს.
საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესედა რომელი საგნები დაამატეს.
იოსებ ბერიკაშვილმა განაცხადა, რომ დაამატეს „ეკონომიკური ფსიქოლოგია“ და „თანამედროვე მაკროეკონომიკა“ არჩევით ბლოკში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:28
დასრულების დრო: 16:29

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:30 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა